

რედაქცია

გაზეთის რედაქციაში. ი. გ. მუსხისხის ხელისუფლებით.

ხელის-მოწერა

მთავრობის თხოვნით „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეუბანში: ვაჟა-ფშაველას თხოვნით: Вь Тифлисъ, вь редакцію „Дრობა“.

„დროების“ ფასი:

თბილისის წიგნის . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან. ქუთაისის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.

დროება

გამოცემის უფელ-დღე მრავალბათს გარდა

ფასი განსხვავებისა

დღის ხარჯი, ხარჯი 1 კუბ. მთავრობის თხოვნით. ხარჯი ნახევარი კუბ. ხარჯი ნახევარი კუბ.

ცალკე ნაშრომი „დროების“ დასრულებისათვის.

ამა 1882 წელს უფელ-დღეური გაზეთი

„დროება“

გამოცემის იმეგე უზრუნველყოფის და რედაქციის და იმეგე თანამშრომლების დახმარებით, რედაქციის აქამდინ გამოცემისა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში: „დროების“ რედაქციის კანტონში, ვაჟა-ფშაველას თხოვნით. ი. გ. მუსხისხის ხელისუფლებით.

ქადაქს გარეუბანში მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მიმართოთ გაზეთი Вь Тифлисъ, Вь редакцію газ. „Дრობа“.

„დროების“ და „ვაჟა-ფშაველას“, რედაქციის ერთად, ხელის-მოწერა ან მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით: 9 მან. სამის თვისთ 3 ,, ნახევარის წლით 5 ,, ერთის თვისთ 1 ,,

სხვა ვადით ხელის-მოწერა ან შეიძლება. სუბსკრიბირება ხელის-მოწერისა დახმარებისათვის უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ფოსტით ავრეკეთ, რომ თავის სახელი და გვარი დასახელებული ადგილი გარკვევით დასწეროს.

რედაქციის სურ. მუსხი.

გამომცემელი სტ. მელიქიძე.

მოდერნიზაციის განხორციელების შესახებ

ამ უკანასკნელს ხანებში ცხადად გზავდა, რომ თან-და-თან სწორ გზაზედ დგება ჩვენი გლეხ-კაცობა. მინდობს სანადგრო მამულების გამოყენებას შესახებ. მას შემდეგ რაც ამ საკანზედ განხილვებში ჩამოვარდა ბაასი და დაიბეჭდა რამოდენიმე სტატია, რომელიც უხსნიდა ხალხს ქვეყნის განვითარებას ამ საგნისას, სულ სხვა მიმართულებების მოძრაობას ვხვდებით შემო-ხსენებულს ხალხში. შაფუტვილი იმედები და ზეციერი მანანის მოლოდინი თან-და-თან ჰქრება მათ გონებაში და სამაგიეროდ იღვამს ფეხს ნამდვილი ჰაზრი: თვით შრომითა და მეცადინეობით გამოხსნის სურვილი თავისათ სანადგრო ადგი-

ლებსა. რწმუნდებიან, რომ ამ საშუალებით უფრო მალე მიიღწევენ თავიანთ სანატრელ მიზანს. შევლა იმ აზრის არის ეხლა, რომ როგორც თავის საკუთარი ღონითა და მეცადინეობით გამოიხსნან მამულები.

ზოგიერთი ჩვენებური მომრიგებელი უშუალოდ გამოაფხიზლი ბეჭდით წინადადებას და განხილვას მათ მოვალეობისა. მხედვეთ, ესენიც განსხვავებულ მეცადინეობაში არიან, რომ რაც შეიძლება მალე გაათავონ თავიანთ განყოფილებაში შემოსხენებული საქმე. მოსალოდნელია, რომ მალე ერთი-მეორის თანხმობით, ნება-ყოფლობით უმეტესი ნაწილი მეცადინეობისა და გლეხებისა მთავრობის დაუხმარებლად გაათავებენ ამ საქმესა.

მაგრამ გლეხებისაგან მამულების

გამოსყიდვის შესახებ დამამტკიცებელი დოკუმენტების (დაგვირგობის) შედგენის დროს აღმოჩენილა ერთი ისეთი გარეობა, რომელიც, როგორც ამ საქმის კარგად მცოდნე პირები გვარწმუნებენ, აბრკოლებს თურმე ამ საქმის ჩქარი ნაბიჯით წასვლას. აი საქმე რაში მდგომარეობს:

მოგხსენებთ, როდესაც ბატონი და ნაყმევი ერთმანეთ შორის შერიგდებიან ადგილებზედ, გამოსყიდვის საბუთები (პირობა) მომრიგებელმა უშუალოდ (მორიგე პოსტდენიკმა) უნდა შეადგინოს, უნდა მოაწეროს ორთავე მხარეზე ხელი, და ეს პირობა უნდა წარდგენილ იქნას საგლეხო პრისუტსტიაში. ღლეშის ამნირად მიჰყავდათ საქმე; მართა მომრიგებელი უშუალოდ ათავებდა ამ საქმეს და არდგენდა საცა რიგი იყო.

ღღეს კი სულ სხვა მიმართულებით მიდის შემო-ხსენებული საქმე: როდესაც გლეხი გამოიხსნის სანადგრო ადგილებს, მათი პირობა ანუ გამოსყიდვის საბუთები, როგორც წინედ მოვიხსენიეთ, უნდა შეადგინოს მომრიგებელმა უშუალოდ, ხელი უნდა მოაწეროს ორთავე მხარეზე, და ეს თავის ხელ-მოწერილი შერიგების ოქმი უნდა წაიღოს ნაბატონარმა ნოტარიუსთან, ან სადაც ნოტარიუსი არ არის, მომრიგებელ მსაჯულთან, და დაამოწმებინოს, რომ ნამდვილი მისი ხელ-მოწერილია; აგრეთვე გლეხმა უნდა მიიტანოს შემო-ხსენებული ოქმი თავის საგლეხო სასამართლოში და დაამოწმებინოს მოსამართლეებს და კეთილ სინდისიან მოწმეებს, რომ ნამდვილ გლეხისაგან არის ხელ-მოწერილი. ამის შემდეგ კიდევ უნდა შეიკრიბოს ორთავე მხარე და წარუ-

დგინონ ეს მათი ოქმი ისევე მომრიგებელ უშუალოდ, რომელიმანაც კიდევ თავის მხრით ახალი შემოწმება უნდა დასძინოს შესახებ იმისა, რომ ესენი თავის სურვილით და ნება-ყოფლობით მორიგდნენ. ბევრი ამგვარი მიხვევ-მოხვევის შემდეგ, უნდა წარიდგინოს საცა ჯერა არს და სხვა.

ამგვარ დახლართულად საქმის წყენა ძალიან უძნელდება განსაკუთრებით გლეხებს, მეტადრე იმთა, ვინც ორმოცი-სამოცი ვერსის სიშორეზედ მოსახლობენ იმ ადგილიდამ, საცა ღვანან მომრიგებელი უშუალოდ, მსაჯულნი და ნოტარიუსები, რომლებთანაც რამოდენიმე გზობა უნდა იაროს ორივე მხარეზე, ბევრი შრომა და ხარჯი გასწიონ.

თვით მომრიგებელი უშუალოდ ამბობენ, რომ ამ გარეობაში ძალიან შეუშალათ ხელი გლეხსაცა და მის ნაბატონარებსაცა. ძაღვე რომ სურდესთ ორთავე მხარეს ერთმანეთ შორის ნება-ყოფლობით მორიგება, ამ მიზნით ვერ ბედავენო:—სად შეგვიძლია ამდენი თრევა და დავი-დარაბაო!—ამბობენ ისინიო.

ძალიან გვაკვირვებს ამ საგანზედ მომრიგებელ უშუალოდთა მიერ დუმილი. თუ ნამდვილ ეს არის დამაბრკოლებელი მიზეზი, თუ ნამდვილ ეს უშლის ხელს გლეხთა და მეცადინეების ერთმანეთში ნება-ყოფლობით საქმის გათავებას, თუ ეს გარემოება გზას უღობავს მომრიგებელ უშუალოდებს თავის პირველი მოვალეობის აღსრულების დროს, — რატომ არ მიუღწევიანებიათ უმადლესი მთავრობის ყურადღის? რატომ არ უშუამდგომლობათ, საცა ჯერ არს, რომ ეს დაბრ-

„დროების“ ფელტონი, 17 იანვარი.

ღმერთო გვიშველე

მეგვადით შენდა, ღმერთო ძლიერო, შენ შეგვიბრალე ხვეს, სახიერო! დახერხე ხვესში დიდი სიქველე, რომ მოგვეხმაროთ მეხობებს, მოძმეს... ღმერთო გვიშველე, ღმერთო გვიშველე! აგერ გლახანნი, უთოოდ ჰქმანთ, რადგან თოვლ-ჭეხში კარ-კარდაწმინა... იმთა სტანჯავს ეინჯა, სისხველე... მეგვ შეგვიხმაროთ და მეგვეთ ლუკმა, ღმერთო გვიშველე, ღმერთო გვიშველე! აგერ ბაღლები, — ჰსურთ სწავლას გულის, მაგრამ სადა აქვთ ამისთვის ფული?... გარს უნდა ერტყათ მუდამ ზიანსე... შეგვიბრალე მეგვეთ ან-ბანა, — ღმერთო გვიშველე, ღმერთო გვიშველე!

ქართველს რომ უჭირს, უწუხს სულია;

და მოკრის ჯიბის სითხველე,—

შეგვიბრალე, რომ მოგვეხმაროთ,—

ღმერთო გვიშველე, ღმერთო გვიშველე!

შენ შეიბრალე გლეხი სწყალო,

დაუსაგუთრე მიწა და წყალი,

„ნადელის“ შესხრა ნუ გაუძნელებ...
ჩვენც შეგვიშველეთ, შეგვიბრალე,—

ღმერთო გვიშველე, ღმერთო გვიშველე!

მოგვეცი პური ხვენ ანსებისა,

შეგვიბრალე ცოდვა, ცოდვა ვნებისა,

ცანთ-სამოსელი ნუ დაგვიშველე,
მოგვეცი, უთალო, ჯანი, სიმთხველე,
ღმერთო გვიშველე, ღმერთო გვიშველე!

2 იანვარს. 1882. თ. რ. ერისთავი.

პირველი ნაბიჯი ცხოვრებაში*)

(გუშდენი ე. თ.—ნას)

პირველს თიბათვეს ინსტიტუტის ზალაში აქტი იყო.

თერამეტმა ქალმა შესრულდა კურსი.

თეთრ კაბაში გამოჩნული, ოქროს სამკაულობით, ლიზა — ერთი ამ თერამეტთან, მშვენიერი თექვსმეტი წლის ბავშვი. ტან-წერილი, ყარყარა, პირ-ბადრი, შავ-თვალ-წარბ-გადაჭიმული, პატარა ვარდის ფერი ტუჩებით მშვენიერ სურათს წარმოუდგენს ეს მაყურებლის თვალს. სიხარულით, აღტაცებით დასცქერის აქ-იქ მოდაზედ აპრუწულს თავის თეთრს

*) სოფლის გვერდითის საყურადღებო.

კაბას; რამდენჯერმე დაიხურავს და მოიხდის „ხალ მოდის“, ტაბაკით თავზე ჩამოფხატულს შლიაას; ხშირად შესდგება, რაღაზედაც შეფიქრდება და შემდეგ წამში ისევ მხიარულად, თვალების ბჭყერიალით ტანში იკლანება.

ნეტა რა უხარია? მანა მართა თეთრ კაბას შეუძლიან ამ გვარის სიცოცხლით აავსოს თექვსმეტის წლის ქალი? — შეუძლიან. და სიყვითე იმამია, რომ ყველაფერს, თეთრ კაბასაც კი, შეუძლიან აღტაცებაში მოიყვანოს. ამ გვარად, ცხოვრებაში გამოუცდელი, ყოველის უმანკოებით სავსე და აღტაცებისათვის მომზადებული ამის ბუნება წმიდა სანთლის ნაჭერს მიაგავს; რომელზედაც რასაც გინდა, იმას დააქვობ...



კოლეგა თავიდან აეცილებიათ? რატომ არ გამოუთქვამთ ამ საგანზედ ოფიციალურად თავის აზრი და შეხედულებას? ამის პირ-და-პირი მოვალენი ხომ ისინი ბრძანდებიან.

მართალია, ზემო-ხსენებული წესი, გლეხებისაგან მამულების გამოსყიდვის შესახებ დადგენილს წესდებაში იქნება მოხსენებული, მაგრამ არ უნდა დაევიწყოთ, რომ ყოველი წესდება და კანონი უმაღლესის მთავრობის მიერ ხალხის კეთილ დღეობისა და წინ ბიჯის წადგმისათვის არის დადგენილი და გამოცემული და არა ხალხი მათთვის. თუ რომელიმე მუხლი არ ეხამება ერის ცხოვრებას, არ მოაქვს სასარგებლო ნაყოფი, მისი გამოცემა, ანუ გადაკეთება შესაძლებელია. თუ რომელიმე მუხლი, ამ საგანზედ დადგენილი, ხელს უშლის გლეხს ადგილების გამოსყიდვაში, ამას მომ. შუამავლებმა უნდა მოაქციონ ყურადღება, უნდა აცნობონ ვისდამიც ჯერ არს. უმაღლეს მთავრობას ისეთი ყურადღება აქვს მიქცეული გლეხების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რომ ამ გვარ დაბრკოლებებს, უეჭველია, თავიდან ააცილენს გლეხებსაც და მებატონეებსაც, თუ კი რიგიანის გზით მოითხოვენ ამას.

ქაიხოსრო გელაქანი.

8 იანვარს, ს. ტელა.

მკითხავი მილანა.

ჩვენს ძალაქში დამკვიდრდა მკითხავი მილანა. ამ ცრუ წინასწარმეტყველმა ხალხის გაყვლეფაში გადააჭარბა გათქმული ძოდელი ნინოს და სხვა მკითხავებს.

ბევრმა თურმე დიდი და დაბალ კაცის ცოლებმა, ქალებმა, დენერლებმა, პოლკოვნიკებმა, მაიორებმა, ყრმა-წვილ-ქალობამ და კაცობამ თაყვანი სცეს მილანას ცრუ ტაძარს, მოქედილს შავი მაუღით და ბუზმენტით, სადაც ერთ კუნტულში სტოლზედ გამოიჭყიტება გამხმარი ადამიანის თავი, — შეიტანეს ამ ტაძარში რამდენიმე მანეთი თავისი მსხვერპლი.

ამ ტაძარში გროვდება უფრო მრავალი მრეცო, ვიდრე ეკლესიებში სალოცავად! რამდენიმე დიდი-კაცის ქალები ორი დღე ზედაზედ, დილას და საღამოს, დადიოდნენ მილანასთან საკითხავად. ამ ვითარებით მილანას ყუთში გროვდება თურმე დღეში ექვს თუნამდენ!

პი სადა პრწყინავს განათლების სხევი, აი სადა მტკიცდება ჩვენი საზოგადოების კეთილ-გრძობა და კაცობრობა! ამისთანა სწეულება ამტკიცებს კაცობრივს სისუსტეს. შეველა ამ გვარი მიმართულება დაბალ ხალხს უფრო სეჭფერის, ვიდრე მკოდნე—განათლებულ პირებს, რადგანაც, ჩვენი მღვდლები არ ცდილობენ ქადაგებით მოსპონ ესრეთი ცრუ-რწმუნება.

რამ შეადგინა ჩვენი დიდ-კაცობის ცოლები და სხვა პირები, კაცს ვერ გაუგია, ძაცი რომ შემშლით იზრზობოდეს, ეს ხალხი ძლიერ გამოიმეტებს მისცეს იმას შემწეობა, ხელი გაუმართოს? მილანას კი გულ-უხვად ფულებს აყრიან. რომ ვინაგარიშოთ ფაიტონის და სხვა ხარჯი, მილანას ცრუ ტაძარში შესვლა თითო პირს უჯდებათ არა ნაკლებ ხუთი მანათისა. ნუ თუ აქნობამდენ ესენი ვერ დარწმუნდნენ, რომ მილანამ არც აწმყო იცის კაცისა, და ვერც იმის მომავალს გაიგებს.

ამბობენ, ვითომც მილანა მკითხავობს პოლიციის ნება-დართვით. თუ ეს ანბავი მართალია, მაშინ პოლიციის აზრით ხალხი ისე მოუძღოვრებულია, რომ იმის სულის საზღოთ დღევანდლამდენ უნდა იყოს ცრურწმუნება, რომლის მოწყვეტა არც იმის ხელშია, არც ჩვენი მღვდლებისა! ხარეშან გვერდწითელისა.

14 იანვარს.

დღიური

თიფელ და ჩინებულ დღეების შემდეგ, ხელ-ახლად გაგვიზამთრდა: ეს სამი დღეა თოვს და გაუწყნარებელი, ცივი ქარი ჰქრის. ღამე უინავს, დღისით კოჭებამდენ ტალახში და თოვლ-ქყაში ვატყაუნებთ ფეხებს. მოსაველისთვის კარგია, ამბობენ,

ლენა ექნება ამის სიმშენიერეს, შავთვალს და წითელ ტუჩებს პირველ შემთხვევაში და რა დამლუბველი მეორეში.

რა ისწავლა დღემდისინ ლიზამ? — ბეჭი—და არაფერი. რა მიმართულება მიიღო იმის გონებითა და ზნეობითა ძალებმა? — არაფერი. რა არის ესლა ლიზა? — პორდი, ნიდაგი, რომელსაც დიდი სიფრთხილით უნდა შემზადება, რომ ღვარძლი კი არა, თავთუხი მოიყვანოს.

აბა მივეყვით ამას ინსტიტუტის კარებიდან სახლამდინ, გადავთვალიეროთ ის მდგომარეობა, ის პირნი, ის საზოგადოება, რომელშიაც ეს უნდა ტრიალებდეს და წინდაწინვე შეგვიძლიან ესთქვათ, თუ რას მოვიმკით

ამისთანა ტაროსი და ღმერთმაც ინებოს...

ბუშინ წინ, წმ. ნინობას სიონის სობორში ქართული წირვა იყო ყოველად-სამღვდლო აღმკანდრე ეპისკოპოსისა და ქართული გალობა ძმების ძარბელოვების. ღიდ ძალი ხალხი დაესწრო და წირვაც და გალობაც დიდის სიამოვნებით მოისმინეს ამ ძველს ქართველთა მფილისის დედა-ტაძარში.

ასე იშვიათია ანლანდელ დროში, საქართველოს დედა-ქალაქში, ქართული წირვის და გალობის მოსმენა, რომ ეს საგანთოდაც კი გახდა. როგორ გასაკვირველი არ არის ეს გარემოება...

მაღალ-ყოვლად სამღვდლო საქართველოს ეგზარხოსი ამ დღეს წმ. ნინოს საქალბო გიმნაზიაში იყო მწირველი.

პეტერბურლის გახეთებში იწერებთან, რომ ერთი რუსის მეცნიერი ბრაუნა ძაკასიაში აპირებს წასვლას ამ ქვეყნის წარმოების გამოსაკვლევად.

როგორც გეცნობებს ვაზ. „ძაგკაში“, ჩვენი სახელმწიფო საზაფხულო მეთერი ბ. ი. ი. შათოვეისათვის მიუციათ, რომელიც ამ თეატრის შეკეთებას და ამთავითვე რუსულ ოპერის გამართვას აპირებს. სრულის თანაგრძობით განუზიარებთ ვაზ. „ძაგკაში“ იმ აზრს, რომ სასურველია, თეატრის დირექციამ ვალდებული გახდოს ახალი ანტრეპრიორი, რომ ადგილობრივ დრამატულ დასებს იმაზე მომეტებული ქირა არ გამოერთვეს, რაც ხარჯი თეატრისთვის იქნება; უამისოდ ახლად-დაარსებული ადგილობრივი სცენა იძულებული იქნება თავის სასარგებლო მოღვაწეობა მოსპოს.

ძაკასიის მთებიდან ცუდ ტაროსის ამბავს იწერებთან: თოვლი მოდის და ბუქიაო. მართალია, ჯერ-ჯერობით იქითკენ გზები არ გაფუჭებულა და რუსეთსა და სამზღვარ-გარეთის ფოი-

ყოველის ბედნიერებით (ბუნების მხრივ) შემკულ ლიზასაგან.

— Ma chère, ეუბნებოდა ერთი გულითადი მეგობარი ლიზას, გამოთხოვების დროს, — ღმერთი კი არ გაგიწყრეს და შტაკვი კი არა შეირთო, თორემ მე შენ აღარ გიცნობ... ბესმის?

— მესმის, მესმის. შეტველად... მე ჩვენი ოსტატებიც მომბეზრდნენ შავ სერთუკებში.

ლიზას სახლობა სცხოვრობს თიფლისში. მამა ამისი არის ჩინოვნიკი მჭუთე კლასისა და როგორც მოგვხსენებთ, მჭუთე კლასის ჩინოვნიკს ცხოვრება უნდა პირველისა; ამიტომაც პეტრე ბიგოლამე სცდილობს ყოველის ღონის-ძიებით, სამასი თუმანი ჯამაგირი როგორმე გააგრძე-

ტა თავის დროზე მოგედის, მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ ცოტა-სანში მთებში ჩვეულებრივ გზის შეტველას უნდა ველოდეთ და მაშინ დაიწყება, უგანათობით, ჩვენი ქაპან-წყვეტა...

უმაღლესის ბრძანებით იხეტ-ეჭენდი დანიშნება ოსმალის კონსულად ქ. შოთში და მინ-ეჭენდი ოსმალის კონსულად ქ. შარში.

წარსული წლის დრავების ერთ უკანასკნელ ნომერთაგანში დაბეჭდილი იყო ღუშეთის მაზრის უფროსის თანაშემწის ბ. ძალოაშვილის წერილი-პასუხი შესახებ იმ სტატიებისა, რომელნიც დაიბეჭდნენ დრავებში თიონეთის გზის გაყვანის უწყისებზედ. ამ წერილში შეცდომით იყო მოხსენებული, რომ ძალოაშვილის მეტულემ 3,000 მან. ასესხა, ერთ ამ გზის მეჯარადრესაო; უნდა ყოფილიყო 300 მან.

ხვალინდელი, ორშაბათ საღამოს სხდომაზე, ძალაქის რჩევას შემდეგ სავენებზე ექნება სჯა:

მოხსენება ძალაქის მათემატიკის, თუ რა შედეგი ჰქონდა ძალაქის რჩევის დებუტაციას, რომელიც ძაკასიის მთავარ-მმართველის თანამდებობის დროებით აღმასრულებელთან იყო საშუამდგომლოდ ვაგზენილი, რომ აღრესის სტოლის შემოღება ქ. თიფლისში დროებით შეეჩერებინა;

მოხსენება ძალაქის შამგეობისა საქალაქო სახლის გადაკეთების შესახებ; მოხსენება შამგეობისა სიონის ქუჩის გაგანიერებაზედ;

წინადადება ძალაქის თავისა მუხრანთან ხიდის თაობაზედ;

პირუტყვთა დამცველ საზოგადოების თხოვნა მაწანწალა ძაღლებისათვის თავ-შესაფარ სახლის გამართვაზედ და სხვ.

ბუშინდელს „დროებაში“ ბ. ძალოაშვილის სტატიის სათაური უნდა იყოს ბათუმის აფხაზები და არა ბათუმის აფხაზები, როგორც შეცდომით მოგვივიდა.

ლოს. ამაში ცოლი, მფემიაც კარგ შეუღლეობას უწყევს. მს სამასის თუნით ისე გამოდის საზოგადოებაში როგორათაც სხვები ხუთასითაც ვერ გამოდიან. მშვენიერად მორთულ გოსტინა, გახუნებული სპალნა, ხვერდის შუბა და ჭუჭყიანი პერანგ რიგიანადა აქვს შეზავებული... საბრანია და ძრუქოკი არ გამოცნარებ ბეზიკს თამაშობს დიდის ხელოვნებით და პროფერანსიც იცის, თუ დასჭირდება.

პირველი სურვილი პეტრესი მფემიასი ლიზასთვის ის იყო, რომ კარგად გაეყოფინათ საზოგადოებაში. ამისათვის არაფერი არ დაზოგდა, რომ კაბები ბლომად და მოღაწე ჰქონოდა შეკერილი, რომ პაწაწინა მამაკებს და დიდრონ შლიაპებს რ

„დროების“ კორესპონდენცია

ახალციხე 8 იანვარს. ჩვენი მკუდრო ქალაქი აღმდგომი ამ ქვეყნის საზღვარის შერთვისგან, რომელიც მოხდა ნათლის-ღება ღამეს. რამდენიმე კაცი ავაზაკები დაეცნენ ერთს ებრაელ-ზარაფს, ნაკუწ-ნაკუწად აჭრეს, წაართვეს ორას თუმნადინ ოქროს ფული და გაიქცნენ.

მხრავლთან წოლილა ცოლი, რომელიც აგრეთვე დაჭრილია და აგრეთვე ამითი 8 წლის ქალი.

ჭურაღლების ღირსი ამ შემთხვევაში თვით ეს ავაზაკობა როდია, რადგან ეს ყველგან შეიძლება მომხდარიყო, არამედ შემდეგი გარემოება:

ახალციხეში ცხოვრებს ერთი ციმიბირიღამ დაბრუნებული სომეხი, სახელიდ შარსელა, რომელსაც როგორც ამ შემთხვევას, აგრეთვე ყველა ამგვარ ავაზაკობას აბრალებს მთელი ქვეყანა! მთელმა ახალციხემ იცის, რომ ამ შარსელას ჰყავს თავის შაიკა, ისიც იციან სახელობით—ვინც შეადგენენ ამ შაიკას, მაგრამ ვერა მოუხერხებიათ—რა ამ კაცისათვის, რამდენჯერმე დაიჭირეს და ისევ გამოუშვეს, რადგან განსამტყუნებელ საბუთებს ვერ მოჰკიდეს ხელი. და შესანიშნავია, რომ, როდესაც ეს დაჭერილი იყო, ახალციხეში ქურდობა და ავაზაკობა მიწყდებოდა და გამოუშვებდნენ თუ არა, იმ წამსვე ყოველგვარი შემთხვევები იწყებოდა.

რამდენჯერმე, ციხიღამ რომ ანთავისუფლებდნენ, დესიატნიკად იყო დანიშნული და ყოველთვის ამ დროს ახალციხეში ისეთი მშვიდობიანობა იყო, რომ კავიციის საღირალი არა იკარგებოდა—რა? მაგრამ გააღებდნენ თუ არა სამსახურიღამ, იმწამვე ძველს ხელობას იწყობდა და ხშირდებოდა ავაზაკობა. შარსელა თებერვალში ერთი ამგვარივე შემთხვევა მოხდა ებრაელებისვე უბანში, კაცი დასჭრეს და გაცარცვეს. იმწამსვე ამ შარსელაზე აიღეს ეჭვი, დაიჭირეს ისიცა და იმის ამონიკ; ამბობენ, გამოძიების დროს, შარსელა გამოტყდაო, მაგრამ ეჭვისთვის შემდეგ ისიცა და იმის ამხანაგებიც გამოუშვეს ციხიღამ!

ახლა, როგორც ბევრთადა გავიგე, მოკლეულ ურის ცოლი და ქალი, შემოიყვანეს თუ არა გამოძიებულთან შარსელა, მივარდნენ თურმე იმას და პირდაპირ გამოაცხადეს, რომ ჩვენი დამლუბველი ეს არისო. ამ ეჭვის გამო(?) ის ახლა დაჭერილია და შემდეგში რას უზმენ—არვიციო, იქნება კიდევ განთავისუფლონ! ამ ეჭვს კიდევ უფრო ემატება—საფუძველი იმ გარემოებით, რომ მკვლელობის წინაღ იმას ჩვეულებრივ ვადაზე ადრე დაეთხოვნა ახლოდ, —ეს თვითონ ახლოდის სალდათებში გამოაცხადეს, თუმცა თვითონ უარს ამბობდა.

მთელი ქალაქი იძახის:—თუ ქიდევი გამოუშვეს შარსელა, ახალციხეში აღარ დაგვედგომებაო.

ახალციხელი.

რუსეთი

(გაზეთგადაც)

მომავალ თებერვლის შუა რიცხვებში ქ. ხარკოვში მოხდება კრება იმ გუბერნიების ერობათ წარმომადგენელთა, სადაც გასულს წლებში დიდი ზიანი მისცა პურის მოსავალს ერთგვარმა პურის ჭიამ (хлебный жуль). ძრებად უნდა არჩიოს, რა საშუალება მიიღოს ამ ჭიის წინააღმდეგ.

თუ არ ვცდებით, ეს პირველი მაგალითი იქნება, რომ რამდენიმე გუბერნიის ერობა ერთად იკრიბება საზოგადო საჭიროებაზედ მოსალაპარაკებლად.

სუხანოვის, ტრიგონის და სხვების პოლიტიკური საქმის გარჩევა დანიშნულია მომავლისთვის 10 რიცხვებში. სულ სამართალში არის მიცემული 21 კაცი. საქმის გარჩევა ერთ კვირას გაგრძელდება.

სახალხო განათლების სამინისტროში სჯა არისო ამ ქვეყნის იმანვედ, რომ რაც შეიძლება გაუადვილონ ეგზემენები ატეტესტატის მისაღებად იმ სახლგაზრდა ყმაწვილ კაცებს, რომელნიც შინ, ესე იგი არა-გომნაზიებში, მომზადდებულან.

გინად გამოეჩინათ ამის სიმშენიერე.

პირველად რომ საბრანიაში მიიყვანეს, კოპწია ტიკინს მიაგადა. მანსხვაგება იმათში მხოლოდ ის იყო, რომ დიდად ამოჭრილის კაბიღან ლიზას გულის ფანჯკალი მოჩანდა.

ამ გულის ფანჯკალში ბევრი რამ იყო მიმზიდველი ყმაწვილი, გაშმაგებულ კავალრებისთვის. სუყველანი სინარულით გამოეცხადნენ „ბალის მეთას“, რომელიც შესვლის უმაღლად ადერქვა ლიზას. მოენები, შტაცკები ზედი-ზედ მიდიოდნენ ტანცაობის სათხოვრად. ლიზა ერთის ხელიღამ დაუყოვნებლივ გადადიოდა მეორეში. სახე ანთო, მკერდი გაუწითლდა და უფრო მოუხშირა ფანჯკალი; კავალრები უფრო-და-უფრო ხელს უჭერ-

დნენ ფერხატკებზე და ტკბილად ჩასტუტუნებდნენ ყურში:

— თქვენ მსუბუქი ხართ, როგორც ფეია!

— ნეტა იმას, ვისაც თქვენ აირჩევთ!

— ნეტა იმას, ვიზედაც თქვენი თვალი შეჩერდება..

თმა-გაწეწილი, ტუჩებ-გაღებული, გარშემო კაბა შემოგონეჯილი დაპროწიალებდა ლიზა ზალაში. მს არც კი გრძობდა, თუ რა ჩირქა ეცნობოდა იმის უმანკობას.

ღედა აღტაცებული იყო, რომ იმის ქალმა გაიმარჯვა, რომ ეს იყო მთელი საზოგადოების თვალი და სხვა დედებს შურით უდგებოდათ თვალი.

— ლმერთო, ამბობდა მთეშია თავის გულში, გადმომხედე შენის მოწ-

ამ უკანასკნელ რიცხვებში სახალხო განათლების სამინისტროში შემდგარა კერძო კამისია რეალურ სასწავლებლებზე წესების გარდასახედავად და შესაცვლელად.

ამბობენ, განზრახვა არისო, რეალურ სასწავლებელთ მისცენ ხასიათი საზოგადო განათლების სასწავლებელთა, საიღამაც გამოსულ ყმაწვილ კაცებს უნივერსიტეტების ბუნებით მეცნიერებისა და საექიმო ფოკულტეტებზე მიიღებნო.

აღმინისტრაციული წესით გარდასახლებულთა საქმეების გასარჩევად დანიშნულმა კამისიამ შემდეგი გარდაწყვეტილება დაადგინა: მრი ათას ათას გარდასახლებულთაგან ერთი მეათედი ნაწილი უნდა ჩაითვალოს მართლად და საშიშარ პირებად სახელმწიფო წყობილებისათვის. მრი მეათედი მიცემულნი იყვნენ ჩვეულებრივ სისხლის სამართალში და გამართლებულნი; მაგრამ, რადგან აღმინისტრაციამ და პროკურორის უწყებამ მათი გამართლება გარდაწყვეტილად ვერ დაინახა, ვერ მიანიჭა მათ თავისუფალ მოქალაქეთა უფლებანი; კამისიას დამნაშავედ უცნია ეს პირნი და მათ ციხიბრი მოეღოსთო. დნარჩენ 1,600 პირთაგან—600 ქალია, რომელნიც კამისიამ განათავისუფლოა, მხოლოდ რამდენიმე სამის წლით დარჩებიან პოლიციის მხედველობის ქვეშე. უკანასკნელი ათასი კი ცნობილ იქმნენ სრულიად უფლებელ პირებად პოლიტიკურის შეხედულებით.

ნარევი

ერთს ინგლისურს გასეთში იწერებან რომიღამ უბედურს, შემთხვევას რომელიც გასულს დეკემბერში შესჯდრია გამოჩენილ იტალიელ პატროტს გარბაზდის. თავის პატარა შვილით, მანლითი, კვიპაყით მიემგზავრებოდა სადღაც. კვიპაყი დაღმართს დაუგვა უცნადა გადაბრუნდა, გარბაზდი გადმოკარდა დაქვას დაქვას დაქვას თავი. მეტის ტკივილასაგან ლენკალმა დაკარგა გრძობა, მაგრამ მასე გამობრუნდა. პატარა მანლიომ მოწ-

ყალე თვალით და კნიაზ არეულადქს შევანიშენინე ჩემი ლიზა.

არეულადქს ღრაგუნის კაპიტანი, კნიაზობით გაამაყებული ზეიდგან გადმოჰყურებდა ქალებს. ჯერ იმას არ გადაეწყვიტნა, თუ რამდენი ათასი თუმანი უნდა ჰქონოდა ამის საცოლოს...

ლიზა თვალში მოუვიდა. ტანში ერთხანტელმა დაუარა, როდესაც ლიზას, ტანცაობის დროს, შემოხვია წელზე ხელი და იმის ცხელმა სუნთქვამ ყურთან დაუბერა. მაგრამ თავი შეიკავა და პოლიტიკურად აქეთ-იქით მოიკითხა, თუ რა ეჭვება ლიზას.

— ბიგოლადქს? მალის მეტი არაფერი, კნიაზო... მუბნებოდა მიკირტუმა არეულადქს.— მალი, ჰო, მაგრამ ფული კი... მართველია, განა არ იცი!

სამ საათზე ხალხი დაიშალა. ლიზა

თო ტირილი, როდესაც გასისხლიანებული მამა დაიწინა, ინტელანს გმირმა ჩაიღიმა და უბრალოდ და სამშვიდებლად:

— შენ გსურს გამოხვიდე მამაცი მეომარს და რამოდენიმე სისხლის წკეთის კი გეშინიან?! *

ათს ამერიკელ ავადმიის სტუდენტთ განიზრახეს უხუძრან, ოინი უუონ ერთ მეზობლად მოსასლე ფერმის პატრონს. (მხოლოდ ამერიკელებისაგან წარმოადგენს ადამიანი ამ გვარს სუძრობას). ფერმერის ბაღს ჩამოსხსეს დიდი ალყაფის კარები და გაიხადეს იმით ტეცნლი თავიანთ სადგომში. ფერმერმა საჩივარი შეიტანა მთზე ავადმიის რჩევაში. რჩევამ შეძლევი გარდაწყვეტილება დაადგინა; ან გამოვიდნენ ავადმიიღამ სხენეული სტუდენტები და ან დაემორჩილან იმ სასჯელს, რომელსაც თვით ფერმერი გარდაუწყვეტს მათ. სტუდენტთ უკანასკნელი იჩიეს. ფერმერმა გარდაუწყვეტა მათ შეძლევი: ოთსივე სტუდენტი მუზიკით და დიდის ამბით, მთელის ქალაქის დასწრებით, უნდა გასულიყვნენ უმთავრეს მოედანზედ და იქ დაქვსათ ოთსი საყენი შუა. შეძლევი ამ გვარისვე ამბით, მუზიკით, ეს დაჩენილი შუა მიეტანათ ერთ ღარბი ქვრივისათვის. *

ჩვენში ძრეულ გამოსადეკად დაჩენება შეძლევი წამალი, რომელთაც შეიძლება ჰქის მღვრეი წულის დაწმენდა. ოციოდე დიდი ნაჭკერი კარგა გამოძწვარის ხის ნახშირისა უნდა შეიკვას ერთად; დაშნადქს საში ამ გვარი შეკვრა და თითოს მიეკვას სუფთა ნამდვილი ნაჭკერი ქვა-მარლისა 4 გირვანქიანი და ეს ამ გვარად დამზადებული საში შეკვრა ჩაიშვას ჭაში ძირამდინ სხვა-და-სხვა ალყას. მესამე ან მეოთხე დღეს წუალი ანკარასავით დადგება. *

ერთს ავსტრიელს ექიმს წარუდგენია საინტერესო გამოკვლევა საქმიო კოლეგიაში სიმთვრადის თაობაზედ. ეს თავის გამოკვლევა უნდა მას ორ ღოთზედ, რომელიც მას ორი კვირის განმავლობაში ჰყოლია დაწვედუელი ერთ ოთახში. ამ ხნის განმავლობაში ყველა

დალალოლ-დაქანცული, ტანში მოშვებული, მძიმე სუნთქვით ჩაჯდა ფაეტონში. მთეშიამ და პეტრემ ტუტუნი შეჰქენს.

— მია, მიკირტუმასთვის უკითხნია! რა ბედნიერება იქნება, თუ ხელში მოვიგდეთ... ჩუმიად ეუბნებოდა მთეშია ქმარს.

— ჰეშმარიტად რომ ბედნიერება იქნება. შასახუხა ჩუმათვე პეტრემ.

ასრე დაიწყო პირველი ნაბიჯი ლიზასი ცხოვრებაში. ამ ნაირად გაიქელა აჰყავებული მდელი და არავითარი სხივი სითბოსი არსაიდგან მოჩანდა, რომ დროზედ, სრულიად განადგურებამდინ ზეზედ წამოიყენებინა მიწოლილი ყვავილები და ამოესუფთაებინა ჰუტყიანი ნაფხურები.

29 ოქტომბერს, 1881 წ. მბ ბ



ისყიდება

25% ნაკლებად **ისყიდება**

ჩაი, კაკაო, შვედური, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქანი, ბაგლები, თევზები, ჩაინიკები, სუდოგები, ფოდნისები, შირის-საბანი, კლიტები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, გოგონები, დანები, კაღები, ქაღალდი, განვერტები, რეულები, კანდაშები, თოფები, რეკლავები, კრავები, პლანები, ვანები, ქაშები, საყუდურები, კლინკა, უნაგირები, ლაგები, უთოები, ტანსაცმელი, შირისსაბანი, ცხვირის-სასაბანი, ხულები, ტუაღების საბანი, ღუბები, შარბათი, ტიტატაშენია, ქინას ღვინო, შოტლენდი, სურსი, გონივი და ათასი სხვა. რამეები, — **ინგლისის მალაზიაში**. იქვე ჩაი ვაჭარათაგის ნარდათი: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გოგონაქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უშირველი ხარისხისა 2 მ. — წონა უქაღალდით.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) **George Dan**-ს ფაბრიკადან—120 მან. რეკლავები 4—34 მან. და ბუდოგისა 11—20 მ. ქაღის უნაგირები 65 მან-დამ.; შუჭილდის დანები ჩანჯლებით 3 მან. 50 კან-დამ დუჟი, ალბომები ნასეკარ ფასად, ფილტრები და სხვა.

ყველაზედ უმჯავესი ამოწვევა თოფებისა და რეკლავებისა თფილისში. (100—65)

ისყიდება

15,000 თფიში 1 ხარისხისა, თითო 15 კაბ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაბ.

10,000 ბაგალი და სტაქანი თითო 10 კაბ.

10,000 ფოდნისი და გასაღები თითო 15 კაბ.

10,000 ნეესი, 8 კ. 40-მინ ასი.

10,000 შენალი თავის პრიბორით თითო 5 კაბ.

5,000 ბოთლი შოტლენდისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაბ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟანი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაბ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინლოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაბ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ღე-ზიოშკა 50 კაბ. გირვ.

600 ინგლისის რეკლავები 4 მან. 34-მლი.

300 ინგლისის თოფა თითო 20—100 მან.

ღრპი, მაული, ტრიკო, ალბომები, საზმთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. **ინგლისის მალაზიაში**. (40—22)

კლიტებისა, ჭურჭლებისა, კრავებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკლადისა, კაკაოსი, ღუბებისა, საბანისა, შირისებისა, ცხვირ-სასაბანისა, ქაღალდისა, კანდაშებისა, კაღებისა, უნაგირებისა, სურსისისა (გემრიელი კლეშინისი ზეთისა) და სხვა. **საგეტრა მანტრების მოსახურავებს** გასასყიდლად კანფეტების და ბატონების და კამ. მურაბისა, აგრეთვე ხულებებისა და წინდებისა ნოტინგამილად. ნამდვილი ქაგასის სიგარები. (100—64)

ი. და ვ. ვილაძეთა წიგნის მალაზია ქუთაისში

ბუღვარის შირდაში, სობორის გვერდით.

რ. პელსაც წინედ პ. ზერარდის მალაზია ერქვა, დღეიდან ჩვენს ხელში გადმოვიდა. მხარობთ ყოველს ღონის-ძიებას, რომ მალაზიის საქმე კიდევ უფრო კარგად წაიყვანოთ ყოველ-მხრივ, ვიდრე დღემდის იყო. იმედი გვაქვს პატივცემული საზოგადოება არა თუ არ მოაკლებს თავის ყურადღებას ამ მალაზიას, რომელიც მუდამ მისს სიამოვნებას ცდილობდა, არამედ უფრო ყურადღებას მოგვაქცევს ამიერ. მალაზიას აქვს ყველა სსწავლებელთათვის ყოველ-გვარი სასკლამლანგლო და ხელსასეობი. მრავალი საკითხავი წიგნები ქართული და რუსული, ნოტები და სხვა.

მალაზია იღებს ხელის-მოწერას ყველა ქურნალ-გაზეთებზე სარედაქციო ფასით. (5—5)

ბრიტუროვის წიგნის მალაზიაში (ბალის პირ-ლა-პირ) და ბ-ნი იოანის-სიანთან (ოკრუფის სულის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატურნი — — — 10 კ.

დაიბეჭდა და ისყიდება **ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მალაზიაში**

ბაბულის საერთო მულობელობაზე

თხზულება

ანტონ შურცელოძისა

გამოცემული

ზაქარ ჰიბინაძისაგან.

შასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

ინგლისის მალაზიაში



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კან.

აქვე ისყიდება ქინის ზომდა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტები თავის ტკივილის მოსასაშობლად, რუხ-ღვრის საზონი, ღუბები და სხვა (100—78)

ინგლისის მალაზიაში ახლად მიღებული დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვანა. იქვე იყიდება: შარესინა 40 კაბ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაბ—დამ; პაღონები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვა. (100—57)

ლონდონის მალაზია გამოცემულია ბანკის ქვემ დაწესებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლად შირველი მოკრეფისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებ: თოფებისა, რეკლავებისა,

ამ მოკლე ხანში იქნება

თ ა ვ ა შ ი

XLIV ლოტეისა

პეტერბურლის შაბრონო ბავშვების თავ-შესაფარ სახლის სასარგებლოდ, 5,000 შაფვილებისათვის.

სულ 600 მოგებაა

უმთავრესნი:

მთლი მოგება—225 გირვანქა ვერცხლი, სტოლისა და ჩაის სერვიზი — — — 8,000 მან.

მთხი მოგება—1,000 მანეთი — — — 4,000 მან.

მორი მოგება—500 მან. — — — 1,000 მან.

ღნარჩენი ხუთას ოთხმოც-ღე-ცამეტი მოგება შესდგება სხვა-და-სხვა ვერცხლის ნივთებისაგან და ხელმწიფის ნაბოძებისაგან, სულ — — — 14,000 მან.

ბილეთის ფასი 1 მანეთი.

სყიდვა ბილეთებისა შეიძლება ლუბერატორების კანცელარიაში ან ყმაწვილების თავ-შესაფარ სახლების კანცელარიაში.

ღატანის დღე გამოცხადებული იქნება.

მოგება მიეცემა მხოლოდ იმას, ვინც მთელს ბილეთს წარადგენს. (3—2)

სასმელ საჭმელს, რაც კა შათ მიერთმე-ოდათ, არაყი ქქონდა შერეული და გარდასხმული. წყალი, ღვინო, ზქე, წვენი, ხორცი და ტანთ-საძმელი და ქვეშ-საგებიც—სულ ყველაფერი არაყის სუნით იყო თურმე აწროლებული.

შირველ დღეებში ლოთები სიამოვნებით უნახავდნ ამ არაყის სუნს, მაგრამ მერე და მერე ისე მიბუზრდათ, მესამე თუ მეოთხე დღეს, რომ მიძიერი რეზონდენ და იმ საჭმელებს არ იკარებდნენ. ამ ტანჯვაში გაატარეს 11 დღე. მას შემდეგ ერთი წვეთი არაყი არ მიუკარებიათ მათ თურმე, თვალთ დასანასავათაც უხარებოდათ.

თუ ეს მართალია, ადვილი საშუალებაა ლოთების მოსარეულებლად.

არაბეთის ებრაელებში, რომელნიც მერე ტაძრის დაქვეყნდის იყვნენ განდევნილი ზალესტინადამ და რომელთაც არ იცინა შემდეგში დაწერილის ტაღმუდის მოთხოვნისა, ვიდრე არის გარე-ცელებული მრავალ-ცოფობა. არაბეთის ებრაელს შეუძლიან იოლიოს ქვესი ცოლი. შირველ ორ ცოლს უწოდებენ „სას-ჭებს“ და დანახეხებს „აღმებს“. ცოლებს იძენენ აგრეთვე გარბობითაც, მაგრამ თითონ ქაღს არა აქვს ნება თავის გაყიდვისა და არც ებრაელს აქვს ნება არაბის ქაღის შერთვისა.

ბანსხადებანი

აწერუნის თეატრში

დღეს, 17 იანვარს

ძართული დრამატული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

არსენა

ღრამა ვ მოქმ. თხზ. პ. მოხუბარიძისა.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასისაში.

ფასები დაკლებულია.

დასაწყისი 7 1/2 საათს

ი. მურადავის წიგნის მალაზიაში ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჭო და საქალბო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში. მოსწავლეთა. პრის აგრეთვე დიდ-ძალი სა-მოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა და-გვარად დანაზული რეველები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვანა.

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მალაზია დაუყოვნებლივ ასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა. (50—40)